საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს პირველ მაისს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 35 (841) | კვირა, 1 მაისი, 1955 წ. | ფასი 30 კაპ.

საძაისწო

მურმან ლებანიძე

ისევ დროშები, ისევ მაისი!
ხალხთა პარადის ამობრწყინება;
თეთრი მტრედები ცისფერ ჰაერში
და გაზაფხულის ალორძინება;

ისევ სიმღერა ჩვენი ნორჩების,
ისევ ზეიმი და დასვენება;
ისევ ვაშა და სპორტულ დროშებით
შოთას პროსპექტის გადაჭრელება...

მხარზე შემისვამს ხუთი წლის ბიჭი
სახლში ამ დილით რამ გამაჩეროს!
ხალხთა მშვიდობა, დროშების რიგი
და გაზაფხული უნდა ვაჩვენო.

უნდა ვუამბო დიდი ხნის წინათ
მაისი იმედს როგორ აჩენდა;
უნდა ვუამბო მლაშე ტბის პირად
სტალინის დროშით როგორ გათენდა.

მივალ... ხვავდება ფერების ხვავი,
მივალ... ღიაა ყველგან ფანჯრები,
შუბლში გესვრიან ნუშის და ყვავილს
და უღიმილოდ ვერ გადარჩები...

ისევ დროშები, ისევ მაისი!
ხალხთა პარადის ამობრწყინება;
თეთრი მტრედები ცისფერ ჰაერში
და გაზაფხულის ალორძინება.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1955 წლის 1 მაისი № 69 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს.

ვულოცავ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას პირველი მაისის დღეს. ვუსურვებ ყველა ჯარისკაცსა და მატროსს, სერჟანტსა და ზემდეგს, ოფიცერს, გენერალსა და ადმირალს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, თანამედროვე ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში.

პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

პირველ მაისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

ახალი ჟურნალები

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით უახლოეს დღეებში გამოვა ყოველთვიური მეთოდურ-პოპულარული ჟურნალები „სპორტული თამაშები“ და „მძლეოსნობა“. აღნიშნული ჟურნალების რედაქციებმა გაზეთ „ლელოს“ სთხოვეს გამოაქვეყნოს შემდეგი სახის მიმართვა:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჟურნალები „სპორტული თამაშები“ და „მძლეოსნობა“ მიზნად ისახავენ გაუწიონ მეთოდური დახმარება მწვრთნელებს, საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს, რიგით სპორტსმენებსა და სპორტის ოსტატებს. ჟურნალები გამოაქვეყნებენ მოწინავე მწვრთნელების, მეცნიერ მუშაკების, სპორტსმენების, სპორტის საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების სტატიებს.

ჟურნალს „სპორტული თამაშები“ აქვს რამდენიმე მუდმივი განყოფილება: „გამოცდილების ტრიბუნა“, „მეცნიერება და სპორტი“, „სპორტულ სექციებში“, „მსხვილ შეჯიბრებათა მიმოხილვა“, „მსაჯობა“, „საზღვარგარეთ“.

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, სკატერტნი შესახვევი № 4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება, ჟურნალ „სპორტული თამაშების“ ან „მძლეოსნობის“ რედაქციას“.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

დღეს პირველი მაისია! რა სიამაყისა და სიხარულის გრძნობით გაისმის ეს ძვირფასი სიტყვები. პირველი მაისი ხომ ხალხთა შორის მშვიდობის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ძმობის, ბედნიერების სიმბოლოა.

ჩვენი უძლეველი საბჭოთა სამშობლო ახალი შესანიშნავი წარმატებებით ეგებება მსოფლიოს მშრომელთა ამ დიად დღესასწაულს. დიდმა საბჭოთა ხალხმა მთელი გულით შეიყვარა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელსაც იგი ძლევამოსილად მიჰყავს წინ, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ, სისტემატურად ზრუნავს მისი საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისათვის, იბრძვის მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების ლენინურ ხაზს — და ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს ძირეული ინტერესების შესაბამისად, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფს წარმოების საშუალებათა წარმოების მაღალი ტემპით განვითარებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით აღფრთოვანებული ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები თავიანთ ენერგიასა და ძალას არ იშურებენ, რათა სრულად განხორციელდეს მშობლიური პარტიის წინასწარდასახულებანი, რომ უფრო ძლიერი გახდეს საბჭოთა კავშირი, უფრო ბედნიერად იცხოვრონ საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა.

ჩვენი დიადი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს. ყველა ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორი და წარმმართველი ბრძენი კომუნისტური პარტია მგზნებარე სიტყვებით მოუწოდებს ბედნიერი ქვეყნის ახალგაზრდებს: „ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში! გულმოდგინედ შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებასა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას! იყავით მტკიცენი და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!“.

დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში გაიმართება ხალხმრავალი დემონსტრაციები. გმირი საბჭოთა ხალხი დროშებით, გაზაფხულის ყვავილებით, გამარჯვების სიმღერების ომახიანი გუგუნით ჩაივლიან ქუჩებში, გამოავლენენ თავიანთ მგზნებარე სიყვარულს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, მზადყოფნას — მკერდით დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარი — დიადი სოციალისტური სამშობლო. მათ რიგებში ათასობით ქალი და ვაჟი სპორტსმენი იქნება. მათ მაღლა უჭირავთ საბჭოთა სპორტსმენის ღირსების დროშა, მრავალ საერთაშორისო და საკავშირო ღონისძიებაში მოპოვებული გამარჯვებებით ასახელეს სამშობლო.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას — ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას და მოვიპოვოთ საპატიო მაჩვენებელი. რესპუბლიკის სპორტში მომუშავეთა ვალია აქედანვე ენერგიული საქმიანობა გააჩაღონ ამ უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიების სასახელოდ შესრულებისათვის.

ბედნიერია საბჭოთა ხალხი! მისი მომავლისათვის, ბედნიერებისათვის სისტემატურად ზრუნავენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამ ზრუნვას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ახალი წარმატებებით სპორტსა და შრომაში. საბჭოთა სპორტსმენებმა უნდა დაიპყრონ მსოფლიო მწვერვალები სპორტის წამყვან სახეობებში — ასეთია ამოცანა.

გაუმარჯოს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

კომკავშირი ავანგარდში

მშვიდი, ჯანსაღი ძილის შემდეგ ახალი ენერგიით აღსავსე იღვიძებს მახარაძის რაიონის სოფელი შემოქმედი. მხიარული ჟრიამულით მიეშურებიან კოლმეურნეები მინდვრებსა და პლანტაციებში. აქ ისინი კიდევ უფრო ამდიდრებენ საკოლმეურნეო დოვლათს. თავიანთი წვლილი შეაქვთ იმ დიდმნიშვნელოვანი სახალხო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, რომლებიც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მახარაძის რაიონის ამ აყვავებულ სოფელს შემოქმედი უწოდეს. იგი დიდი და საამური ცხოვრების ნამდვილად კოლექტიური შემოქმედია. შემოქმედელებს უყვართ შრომა, ამან განაპირობა მათი შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

სოფლის ახალგაზრდობა უდიდესი ძალაა საკოლმეურნეო წარმოებაში. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, სიმინდის ყანებში, ბაღჩა-ბაღებში, საკოლმეურნეო ფერმებში, — ყველგან მუყაითად შრომობენ ისინი.

— ჩვენი კოლმეურნეობის მეჩაიეთა ერთ-ერთი მოწინავე კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელი, — გაგვაცნო ვენერა მახარაძე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჯიჯეიშვილმა. ვ. მახარაძის რგოლის მზრუნველობით მათზე გაპიროვნებულმა პლანტაციამ სახე იცვალა. პირველი მაისისათვის ამ ნაკვეთიდან სახელმწიფოს ასობით კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩაბარდა.

ვ. მახარაძეს კოლმეურნეები იცნობენ არა მარტო, როგორც მოწინავე მეჩაიეს, არამედ, როგორც კარგ სპორტსმენსაც. იგი სოფლის წამყვანი მძლეოსანია და ხშირად მონაწილეობს რაიონულ პირველობებსა და სოფლებში გამართულ საჩვენებელ შეჯიბრებებში. მუშაობისაგან თავისუფალ დროს ხალისით ამეცადინებს თავისი რგოლის წევრებს მძლეოსნობაში. კომკავშირელმა ქალიშვილებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს ახალი სპორტული წარმატება მოიპოვონ — გახდნენ მშთ II საფეხურის ნიშნოსნები.

მთელს რაიონში გაითქვა სახელი ერთწლიანი კულტურების კომკავშირულმა რგოლმა, რომელსაც მოწინავე სპორტსმენი, კოლმეურნეობის ფეხბურთელი მ. სიმონიშვილი ხელმძღვანელობს. რგოლის წევრები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას სიმინდის კულტურის მოსავლიანობის გადიდების შესახებ და ვალდებულება აიღეს მათზე მოსავლელად მიჩენილ 3,5 ჰექტარ ფართობზე მნიშვნელოვნად გაზარდონ მოსავალი, უზრუნველყონ სიმინდის ორი მოსავლის მიღება და პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილმა თესლმა უკვე ამოხეთქა მიწის ზედაპირი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობაში ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგი იყო. წლების მანძილზე არ სრულდებოდა წველადობის სახელმწიფო გეგმები. ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის წამოწევისათვის ერთგვარი მუშაობა ჩაატარეს კომკავშირელმა სპორტსმენებმა. მძლეოსანი ქ. კვარაცხელია კოლმეურნეობაში ფერმის მწყემსად მუშაობს. იგი 14 საფურაქე ძროხას უვლის და უკვე შეძლო თითეული ძროხიდან 260 ლიტრი რძის მიღება საშუალოდ. კომკავშირელი მწყემსი ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რათა სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩააბაროს 1.500 ლიტრი რძე და უზრუნველყოს ნამატის მთლიანი შენარჩუნება.

სპორტის დიდი გულშემატკივარი და საუკეთესო ფიზკულტურელი აქტივისტია ელექტრომონტიორი, ფეხბურთელი და მოჭიდავე ბ. გოგუაძე. წინათ კოლმეურნეთა შორის ნაკლები სიყვარულით სარგებლობდა ჭიდაობა, მაგრამ ბ. გოგუაძე სიძნელეებს არ შეუშინდა და მოთმინებით შეუდგა სპორტის ამ სახეობის დანერგვას სოფლის ახალგაზრდობაში. მალე ჭიდაობაში საკუთარი ძალების გამოცდის სურვილი გამოთქვეს კოლმეურნეებმა მ. ჭანუყვაძემ, გ. გიორგაძემ, გ. მამულაშვილმა.

ფიზკულტურასა და სპორტს სოფელ შემოქმედში 25 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მისი დამნერგავი, პირველი პიონერი იყო ამჟამად საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ტ. დუმბაძე. თანასოფლელების აქტიური დახმარებით იმ ადგილას, რომელსაც მაშინ ნაკალოები ერქვა, მოაწყეს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები. სპორტის სახეობებიდან პირველად აქ ფეხბურთი დაინერგა. მას შემდეგ მოყოლებული შემოქმედის ფეხბურთელთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია რაიონში. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთისა და სხვათა სექციები, რომლებშიც 70-მდე კოლმეურნეა გაერთიანებული. ამჟამად კოლმეურნე სპორტსმენთა განკარგულებაშია სტადიონი — ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით, მძლეოსნობის სექტორით, სარბენი ბილიკებით. მარტივი ტიპის სპორტული მოედნები მოაწყეს აგრეთვე ცალკეულ ბრიგადებში.

ფიზკულტურა და სპორტი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ცენტრში დგას. კომკავშირელები არა მარტო თვითონ არიან კარგი სპორტსმენები, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე შეჯიბრებების ორგანიზებაში, სპორტული ბაზების კეთილმოწყობასა და კოლმეურნეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში. მუშაობის ასეთმა დაყენებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმული არიან ხანში შესულებიც. ხშირად ეწყობა სპორტულ რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა.

სოფლის სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების გაუმჯობესებისათვის ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელი მ. მეძმარიშვილი. შარშან ბათუმის პედინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან სამუშაოდ მშობლიურ რაიონს მიაშურა. სოფლის ახალგაზრდებმა იგრძნეს თავისი საქმის მოყვარული, ენერგიული ფიზკულტურული მუშაკის ჩამოსვლა. მაშინ აქ მხოლოდ ფეხბურთის სექცია მუშაობდა. კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის უნარიანი გამოყენებით მეძმარიშვილმა შეძლო ძირეული გარდატეხა შეეტანა შემოქმედელების ფიზკულტურულ საქმიანობაში, დააკომპლექტა და შეუდგა კალათბურთისა და ფრენბურთის გუნდების წვრთნას. გახშირდა სპორტული ღონისძიებები. კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა სოფელ მახარაძის, ძიმითის, ცხემლისხიდის, აგრეთვე საშუალო სკოლების კოლექტივებთან ჩაატარა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა, რომლებმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრებებში ხშირმა მონაწილეობამ, წვრთნის მაღალ დონეზე დაყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გუნდის თამაში და ფეხბურთელთა ტექნიკა. კოლმეურნე ფეხბურთელები რ. ბერძენიშვილი და ა. დუმბაძე რაიონის ნაკრები ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში შედიან. ამჟამად გუნდი ენერგიულად ემზადება „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

მძლეოსნობის სექცია წამყვანია კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში. მისი ბრძოლისუნარიანობის ნამდვილი შემოწმება იყო რაიონის კოლმეურნე სპორტსმენთა ახლახან გამართული შეჯიბრება. შემოქმედელებმა ყველა სახეობაში კარგი მომზადება გამოავლინეს და საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს. შემოქმედელებიდან სიმაღლეზე ხტომაში რაიონის ჩემპიონი გახდა ვაჟთა შორის მ. ცეცხლაძე, ქალებიდან — ც. სურგულაძე. მანვე გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში. სიგრძეზე ხტომაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა და პირველი ადგილი მოიპოვა ა. ცისკარიძემ. იგი პირველი იყო აგრეთვე 100 მეტრზე რბენაშიც. 1.500 მეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა რ. ბერძენიშვილმა. საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ აგრეთვე შემოქმედელი კოლმეურნეები ე. ბერძენიშვილი, ფ ჭანიშვილი, გ. სადრაძე და სხვები.

ამ დღეებში მახარაძის რაიონს ეწვია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია. საკოლმეურნეო წარმოებაში ახალი წარმატებების მოპოვების მიზნით გენიჩესკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მეგობრებს მხედველობიდან არც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა გამორჩათ. ხელშეკრულების ერთი პუნქტი დათმობილი აქვს ამ ორ კოლმეურნეობაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხს. შემოქმედელებს, ისე, როგორც გენიჩესკელებს, ნაკისრი ვალდებულებების, სიტყვის გატეხა არ ჩვევიათ.

და გაიმარჯვებს ღირსეულად.

ა. ხუფუა,
ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.





ამას წინათ მინსკში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში, გათამაშებაში რამდენიმე საკავშირო და მსოფლიო რეკორდი იქნა დამყარებული. **სურათებზე:** მარცხნიდან—პირველობის პრიზიორები: ტ. ლომაკინი, ვ. სტოგოვი და ფ. ნიკიტინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

ხვალ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საფეხბურთო მოედნებზე დაიწყება საქართველოს 1955 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

გათამაშების მონაწილე გუნდებს წინ აქვთ გრძელი და მძიმე სატურნირო გზა და, ცხადია, წარმატებას მიაღწევს მხოლოდ ის კოლექტივი, რომელმაც ნაყოფიერად გამოიყენა განვლილი ზამთრის ხელსაყრელი პირობები სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გეგმიანად წარმართვისათვის.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის პირველ ჯგუფში წელს ითამაშებს 13 გუნდი. ესენია: თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი (რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი), ბათუმის, ქუთაისის, სოხუმისა და გორის დინამოელები, „მეტალურგი" (რუსთავი), „კოლმეურნე" (მახარაძე), „პიშჩევიკი" (ბორჯომი), ქ. ფოთის (ნაკრები), 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი (თბილისი), „სპარტაკი" (სტალინირი), „კოლმეურნე" (ქობულეთი) და „ლოკომოტივი" (თბილისი). შეჯიბრება ამ ჯგუფში იწარმოებს ორ წრედ, გუნდები ითამაშებენ მოწინააღმდეგისა და თავის მოედანზე.

გუნდებს ადგილები მიეკუთვნებათ ყველა ჩატარებული თამაშის შედეგად მიღებულ ქულათა უმეტესი რაოდენობით. თუ ორმა ან რამდენიმე გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვა, პირველი ადგილის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრები.

გუნდები, რომლებიც პირველ ჯგუფში დაიკავებენ ბოლო ოთხ ადგილს, გადაყვანილ იქნებიან მეორე ჯგუფში.

მეორე ჯგუფის მონაწილე გუნდები ტერიტორიული ნიშნის მიხედვით დაყოფილი არიან ორ ზონად. **აღმოსავლეთ ზონაში** ითამაშებენ — „ლოკომოტივი" (ხაშური), წითელწყარო (ნაკრები), ყვარელი (ნაკრები), ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდი (თბილისი), „სპარტაკი" (თელავი), ახალქალაქი (ნაკრები), გურჯაანი (ნაკრები), „სტროიტელი" (რუსთავი), „კოლმეურნე" (ადიგენი), ქარელი (ნაკრები), „კოლმეურნე" (გურჯაანი).

დასავლეთ ზონაში მონაწილეობენ — „კრასნაია ზვეზდა" (ზუგდიდი), ზესტაფონი (ნაკრები), წულუკიძე (ნაკრები), გუდაუთა (ნაკრები), საჩხერე (ნაკრები), „ტორპედო" (ქუთაისი), „შახტიორი" (ტყიბული), „სპარტაკი" (ცხაკაია), ხობი (ნაკრები), „ლოკომოტივი" (სამტრედია), „კოლმეურნე" (ლანჩხუთი). გათამაშება მეორე ჯგუფში იწარმოებს ერთ წრედ. გუნდები, რომლებიც თავიანთ ზონებში დაიკავებენ პირველ ადგილებს, გადავლენ პირველ ჯგუფში, ხოლო ბოლო ადგილებზე გამოსულნი — მესამე ჯგუფში.

მესამე ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების გუნდები, რომლებიც სურვილს გამოაცხადებენ მონაწილეობა მიიღონ გათამაშებაში. ამ ჯგუფის გუნდები დაყოფილი იქნებიან ზონებად ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ზონებში გამარჯვებული გუნდები მომავალ წელს ითამაშებენ მეორე ჯგუფში. მიმდინარე სეზონში მატჩები ჩატარდება კვირა დღეებში, რაც საშუალებას მისცემს გუნდებს უფრო სისტემატური და შეუფერხებელი გახადონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

გასული წლების მანძილზე რესპუბლიკის პირველობა ფეხბურთში ვერ პასუხობდა იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს სპორტული საზოგადოებრიობა როგორც ფეხბურთელებს, ისე მათ მწვრთნელებს. ყველა გუნდის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინდივიდუალურ მუშაობას ცალკეულ ფეხბურთელებთან, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მათი ტექნიკური მომზადების შემდგომი სრულყოფა. წლების მანძილზე არადამაკმაყოფილებელია ჩვენი გუნდების ტაქტიკური დონე. მუშაობა ამ მიმართებით განსაკუთრებული ინტენსიურობით უნდა წარიმართოს. ყოველმა გუნდმა უნდა გამოიმუშავოს მრავალფეროვანი, მოქნილი ტაქტიკა, თამაში აგებული უნდა იქნას საკუთარი და მოწინააღმდეგის მოთამაშეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით. დაცვის თამაშში საჭიროა მივაღწიოთ ზუსტ ურთიერთმოქმედებას, ხოლო თავდამსხმელებმა საჭიროა გამოიყენონ მოედნის მთელი სიგანე ტაქტიკური კომბინაციების განხორციელებისათვის. შეტევა უნდა წარიმართოს სწრაფად, მწვავედ, თავდამსხმელთა შორის ადგილების ხშირი და გეგმაზომიერი შეცვლით.

ყოველ წელს ლაპარაკია იმაზე, რომ გუნდების შემადგენლობაში თამამად იქნან შეყვანილი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები. ურიგო არ იქნება თუ რესპუბლიკის პირველობაზე გამართული მატჩების წინ მოეწყობა ჭაბუკთა ამხანაგური შეხვედრები. ამით შესაძლებელი გახდება გუნდების შემადგენლობათა შევსება.

ფეხბურთის საერთო კლასის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელობით მუშაობას. სპორტსმენი უნდა იყოს მორალურად გამოწრთობილი და კოლექტივიზმის გრძნობით გამსჭვალული. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ საწვრთნელი რეჟიმისა და დისციპლინის დამრღვევებს.

დიდი ამოცანები დგას აგრეთვე მსაჯთა წინაშეც. მათ კვალიფიციურ მსაჯობაზე დიდადაა დამოკიდებული ფეხბურთელთა გუნდების შემდგომი წინსვლა.

დ. ცომაია,
საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.

კარგი წამოწყება

მშთ ახალი კომპლექსი და მომავალი საკავშირო სპარტაკიადა საქართველოს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წინაშე აყენებს ახალ, გადაუდებელ ამოცანას — გავაძლიეროთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები, ავამაღლოთ სპორტსმენთა ოსტატობა, ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა სოფლის ახალგაზრდებთან შეიქმნას ისეთივე ძლიერი მოქმედი კოლექტივები, როგორიც არის ჩვენი რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ საშეფო ორგანიზაციებს. შეფების მიერ ჩატარებული საჩვენებელი გამოსვლები, ლექცია-მოხსენებები და სხვა ღონისძიებები, განამტკიცებს და მუშაობის სტიმულს მისცემს სოფლის ახალგაზრდობას.

სოფლად ფიზკულტურულ მუშაობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სოფლად მუშაობის კომისიამ გადაწყვიტა ა/წ 15 მაისიდან რესპუბლიკის მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურელებთან ჩაატაროს ერთდღიანი საშეფო-საჩვენებელი მასობრივი გამოსვლები. რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა გადაწყვეტილება და აცნობა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკებს სპორტული სკოლების, სპორტსაზოგადოებების და ქალაქების ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივებიდან შექმნან ბრიგადები და 15 მაისს რესპუბლიკის სოფლებში ჩაატარონ საჩვენებელი გამოსვლები, მოაწყონ გამოცდილებათა გაზიარება.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა ქუთაისის საოლქო კომიტეტიდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ იქ შექმნილია 11 ბრიგადა, რომელთა შემადგენლობაში 50 გუნდის 500 სპორტსმენი შედის.

ი. კიჩირია,
სოფლად ფიზკულტურული მუშაობის სექციის თავმჯდომარე.

სპორტის ახალი ოსტატები

იმრავლოს თქვენმა რიგებმა

სარგის ცაიშვილი

1949 წელს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი სარგის ცაიშვილი თბილისის ჩემპიონი გახდა კრივში. მაშინ ბევრს ჯეროდა, რომ ახალგაზრდა, უდაოდ კარგი მომავლის მქონე სარგისი გაყვებოდა კრივს და სულ მალე მოწინავე სპორტსმენთა რიგებში ჩადგებოდა. ეს ასეც შეიძლება მომხდარიყო, რომ ერთი წლით ადრე ცაიშვილს ნაკრის სამთო ბანაკში არ მიეღო მონაწილეობა. ნაკრის მიდამოებში პირველმა ალპინისტურმა ასვლებმა ცაიშვილის წინაშე მიუვალი, მრისხანე და ამავე დროს მიმზიდველი მთებისა და მყინვარების ახალი სამყარო გადაშალა. მან მტკიცედ გადაწყვიტა სამუდამოდ დარჩენილიყო ყინულოვანი სივრცეების მესაიდუმლე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპორტული სრულყოფის პარალელურად, სარგის ცაიშვილი წარმატებით განაგრძობს სამეცნიერო საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ფილოლოგმა მეტად სერიოზული ამოცანა დაისახა — ვეფხის-ტყაოსნის რედაქციების გამოკვლევა და შეუდგა სადისერტაციო თემაზე მუშაობას, ალპინიზმი მან ერთი წუთითაც არ დაივიწყა. პირიქით, ამ პერიოდში იგი ინტენსიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ასვლებსა და ტრავერსებში, რომელთა შორის თავისი სირთულით გამოირჩევა უშბის ტრავერსი. მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მოწყობილი ლიხთაუ-მიჟირგი-შხარას ტრავერსი და ლაშქრობა პამირის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე—მარქსის მწვერვალზე.

ყოველგვარ წარმატებას თავისი გამოხატვა აქვს. სარგის ცაიშვილის სპორტული მიღწევები გამოიხატა, ამას წინათ მისთვის სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებაში.

თენგიზ ხერხეულიძე

სკოლაში სწავლის პერიოდში მას სპორტის ბევრი სახეობა იტაცებდა. ძნელი სათქმელი იყო რომელზე შეჩერდებოდა თენგიზ ხერხეულიძე—ტანვარჯიშზე თუ კრივზე, კალათბურთზე თუ ველოსპორტზე, ფეხბურთზე თუ მაგიდის ჩოგბურთზე. ყველა ერთნაირად ეხერხებოდა, ყველგან წარმატებით გამოდიოდა მე-18 საშუალო სკოლის ნორჩი სპორტსმენი. 1948 წელს მან პირველად აიღო ხელში მცირეკალიბრიანი შაშხანა. შედეგი მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო — 50 შესაძლებლიდან მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა. მაგრამ სიძნელეების წინაშე თენგიზს უკან არ დაუხევია.

1950 წელს იგი უკვე ჩამოყალიბებული მსროლელი სპორტსმენია. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან გადადის საბრძოლო შაშხანაზე და სულ მალე სნაიპერთა მომზადების პროგრამას ფრიადზე აბარებს. ხერხეულიძის პირველი გამოსვლა საკავშირო პირველობაზე დამთავრდა მარცხით, მაგრამ ამან, როგორც თვითონ სპორტსმენი იგონებს, მასში გააღვიძა სურვილი — გამხდარიყო ძლიერი მსროლელი.

1954 წელს ლვოვში, მსროლელთა საკავშირო პირველობაზე მას მრავალი წლის წვრთნის შემოწმების საშუალება მიეცა. ვარჯიში № 11. ცეცხლის ხაზზეა თენგიზ ხერხეულიძე. იგი მშვიდად, არაჩვეულებრივი სიზუსტითა და თანმიმდევრობით აგროვებს საჭირო ქულებს და როდესაც მსაჯთა კოლეგიამ გამოაცხადა შედეგი — 592 ქულა, მეგობრებმა მხურვალედ მიულოცეს მას გამარჯვება და ბრინჯაოს მედალი. თენგიზმა აისრულა დიდიხნის ნატვრა.

ოთარ კაკიაშვილი

რთული და მრავალფეროვანი სპორტული გზა განვლო ოთარ კაკიაშვილმა, გზა ნორჩი, ახალბედა სპორტსმენიდან — სპორტის ოსტატამდე.

ჯერ კიდევ სკოლაში გატაცებით ეუფლებოდა ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ველოსპორტს, თხილამურებს. სკოლის დამთავრებისას მან დაუბრკოლებლად აისრულა თავისი ნატვრა და სწავლა განაგრძო ფიზკულტურის ინსტიტუტში. გამოცდილი პედაგოგებისა და მწვრთნელების ხელმძღვანელობით კაკიაშვილი აქ კიდევ უფრო მეტის ენერგიით განაგრძობდა სრულყოფას სპორტის რამდენიმე სახეობაში. აქვე მიიღო მან პირველი თანრიგი სპორტულ ტანვარჯიშში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს კაკიაშვილმა მუშაობა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრაზე, ხოლო შემდეგ გადავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც ამჟამად ასწავლის ტანვარჯიშს და სათხილამურო სპორტს.

თავიდან ოთარს არც უფიქრია აკრობატიკაზე, მაგრამ სპორტის ოსტატ მ. ქელეხსაშვილის რჩევით მან 1952 წელს ხელი მოჰკიდა აკრობატიკას. დიდი ფიზიკური ძალა, მოძრაობათა კოორდინაცია და სიზუსტე მას შესანიშნავ პირობებს უქმნიდა შერეულ წყვილში მუშაობისათვის.

1954 წელს ამ წყვილმა რესპუბლიკურ პირველობაზე თბილისში ჩააბარა ოსტატობის ნორმა და მოიპოვა ჩემპიონობა.

ლილი გელუკაშვილი

ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივში, რომელსაც მწვრთნელი მ. ახვლედიანი ამზადებდა, გამოჩნდა პატარა გოგონა — ლილი გელუკაშვილი. რკინიგზის სკოლების საქალაქო შეჯიბრებაზე მაყურებლები სიამოვნებით უცქერდნენ ნორჩი ტანმოვარჯიშის მიერ კოხტად, მოხდენილად შესრულებულ ვარჯიშებს.

1948 წელს მოსკოვში გაიმართა რკინიგზის სკოლების ტანმოვარჯიშეთა საკავშირო შეჯიბრება. მოზარდთა პირველ თანრიგში გელუკაშვილმა დაიკავა პირველი ადგილი.

ამის შემდეგ გელუკაშვილმა კიდევ უფრო მეტი ხალისით და მონდომებით განაგრძო ვარჯიში ჯერ ს. ყიფიანის, ხოლო შემდეგ ს. ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. მან თანმიმდევრულად ჩააბარა მესამე, მეორე, პირველი თანრიგები და შეუდგა ოსტატის პროგრამის დაძლევას.

გასულ წელს გელუკაშვილმა ჯერ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე და შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონატში შეასრულა ოსტატის ნორმა და მიიღო ეს მაღალი წოდება.

ლ. გელუკაშვილი 1952 წლიდან საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრია. იგი ამჟამად სწავლობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი მიზანია წარჩინებული სწავლა და დაუღალავი ვარჯიში, რათა 1956 წლის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდმა დაიკავოს საპატიო, საპრიზო ადგილი.

ელგუჯა ძიძიგური

ელგუჯა ძიძიგურს კარგად ახსოვს ის დღე, როცა უფროსმა ამხანაგებმა, გამოცდილმა მონადირეებმა ვ. სიხარულიძემ და ვ. ცინცაძემ პირველად წაიყვანეს იგი სანადიროდ. ის იყო და ის. იმ დღიდან ელგუჯა თავდავიწყებული მონადირე გახდა, ყოველ კვირა დღეს მიემგზავრებოდა ამორჩეულ ადგილებში და იქიდან მეტწილად ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდა.

მსროლელები ამბობენ — ნადირობიდან სტენდამდე ერთი ნაბიჯიაო. ეს ერთი ნაბიჯი ძიძიგურმა სულ მალე გადადგა. პირველ ხანებში მას ვ. ჯაბახიძე წვრთნიდა, შემდეგ — ზ. მაჩხანელი.

სტენდმა თავდავიწყებამდე გაიტაცა ახალგაზრდა სპორტსმენი. ვარჯიშობდა გულმოდგინედ, სერიოზულად. შედეგებმაც არ დააყოვნა და მისი მაჩვენებლები დღითიდღე იზრდებოდა.

გასულ წელს ძიძიგურმა ადგილიდან სროლაში 100 შესაძლებლიდან 93 თეფში დაამსხვრია, ხოლო მისვლით სროლაში გააუმჯობესა მაჩხანელის რესპუბლიკური რეკორდი — 50-დან 46. ეს შედეგი ოსტატის ნორმაა.

სპორტის ახალგაზრდა ოსტატი — თბილისის საავეჯო კომბინატის ფილების ცვლის ინჟინერი მიღწეულით არ კმაყოფილდება. მისი მიზანია ახალი რეკორდები და უმაღლესი კლასის მიღწევები.

ვალენტინა მოკლიაკოვა

შეხედავთ ტანმორჩილ, ფერმკრთალ ქერა გოგონას და ვერ იტყვით, რომ იგი ენერგიით აღსავსე, ღონიერი და მოქნილი სპორტსმენია, უმაღლესი სპორტული კლასიფიკაციის მქონე — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

მურმანსკის სკოლაში, სადაც ვალენტინა სწავლობდა ბავშვობაში, მას ტოლი არ ჰყავდა თხილამურებით რბენაში, ციგურებით სრიალში, ტანვარჯიშში, ფრენბურთში. ყოველთვის, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა შეჯიბრებაზე, სპორტულ ღონისძიებაზე, სექციის მეცადინეობაზე, პირველ ყოვლისა მოკლიაკოვაზე მიუთითებდნენ.

აქვე დაიწყო მან ვარჯიში აკრობატიკაში და 1953 წელს მიიღო მეორე თანრიგი აკრობატულ ხტომებში.

მწვრთნელის ნ. ლიმკოვას რჩევით მოკლიაკოვა სწავლის გასაგრძელებლად გამოვიდა თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში. ერთ-ერთ მეცადინეობაზე იგი მივიდა ო. კაკიაშვილთან და სთხოვა პარტნიორად გამოეცადა იგი შერეულ წყვილში.

პირველივე ვარჯიშებზე პარტნიორები ჩინებულად შეეწყვნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანი უსიტყვოდ, შეუცდომლად გრძნობდა მეორის მოძრაობას, სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი ვარჯიში ერთ მთლიან სახეს ღებულობდა მათ შესრულებაში.

მოკლიაკოვას ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო სპორტის ოსტატობა. იგი დაუღალავად იღვწოდა მის მოსაპოვებლად, მაგრამ ამჟამად ახალგაზრდა ოსტატის ასპარეზი გაცილებით უფრო ფართოა. მას თავის პარტნიორთან ერთად განზრახული აქვს მაღალ წარმატებას მიაღწიოს საკავშირო შეჯიბრებებზე.

მხოლოდ ერთი ბურთი

28 აპრილს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ბ“ კლასის საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მეორე ზონის უძლიერესი კოლექტივები — „ნეფტიანიკი“ (კრასნოდარი) და ოფიცერთა სახლის გუნდი (თბილისი).

თბილისელებმა თამაში, როგორც ყოველთვის, შეტევით დაიწყეს და სტუმრების მეკარე თავიდანვე ჩაება თამაშში. რამდენიმე ხნის შემდეგ არმიელთა კართან „ნეფტიანიკის“ თავდამსხმელები გამოჩნდნენ — გოგიჩაიშვილმა შორიდან ზუსტად მიაწოდა სიმონოვს, მაგრამ მეკარე ტიტოვმა დროზე მოასწრო ხიფათის ლიკვიდირება.

ტაიმის ბოლომდე თბილისელებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ კრასნოდარელები მონდომებით იცავდნენ კარს. პირველ 45 წუთს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა, ტემპმა მოიმატა, თბილისელთა შორის გამოირჩეოდა მარჯვენა ნახევარმცველი ხუციძე, რომელიც თავის ზონაში ენერგიული თამაშის გარდა ხშირად გადიოდა მოწინააღმდეგის ნახევარზე და ზუსტი დარტყმებით აიძულებდა მეკარეს სრული დაძაბვით ემუშავა.

მე-13 წუთზე ოფიცერთა სახლის გუნდის მარჯვენა გარემარბი დოლაქიძე სწრაფად გაიჭრა კარისკენ. იმავე დროს მოძრაობა დაიწყო მარცხენა გარემარბმა კოვერზნევმაც. გადამწყვეტ მომენტში დოლაქიძემ გადასცა ბურთი კოვერზნევს და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ თამაში კიდევ უფრო მწვავე გახდა. სტუმრები დამარცხების რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი ყოველი ცდა, გაეთანაბრებიათ ანგარიში, უნაყოფო გამოდგა. შედეგი არ მოჰყოლია თბილისელთა იერიშებსაც, თუმცა „ნეფტიანიკის“ კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. განსაკუთრებით კუთხური მიწოდებისას.

მატჩი მოიგო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა — 1:0.

ნ. კახიანი

სექციების თავმჯდომარეთა საბჭო

ამას წინათ გაიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებული სექციების თავმჯდომარეების თათბირი. თათბირმა აირჩია სპორტული სექციების საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ა. ფალავანდიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე — ა. მეიფარიანი, საბჭოს მდივანი — მ. იზაშვილი.

სტუდენტთა სპარტაკიადა

სამედიცინო ქალაქის სპორტულ ბაზებზე გასულ კვირას დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის II სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობს 700-მდე სტუდენტი.

სპარტაკიადის პროგრამაშია ტანვარჯიში, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, სროლა, ფეხბურთი, სწრაფგადასვლა.

სპარტაკიადის მთავარი მსაჯია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლ. ცაბაძე.

თანრიგები მიიღეს

თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში მოეწყო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

პირველი ადგილი შეჯიბრებაში დაიკავა მეცნიერებათა კანდიდატმა ვ ბოსტოლანაშვილმა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ვ. სავინმა და რ. ცხილაძემ.

გ. თხილაძე

სპორტულ საზოგადოებებში

„პიშჩევიკი“

ხარკოვში, „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, საქართველოს და სხვ. უძლიერესი სპორტსმენები.

სამდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივი. პირად პირველობაში „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი მსუბუქ წონაში გახდა გ. ყიფშიძე. მეორე ადგილები მოიპოვეს ე. თვალჭრელიძემ (ქვემსუბუქი წონა), გ. ნოზაძემ (საშუალო წონა), გ. მესხმა (ქვემძიმე წონა), ე. გორიუნოვმა (მძიმე წონა). მესამე ადგილი ქვესაშუალო წონაში დაისაკუთრა ნ. ჯინჯიხაშვილმა.

ს. ბოტორიშვილი

„კრასნაია ზვეზდა“

კრასნოდარში მოეწყო „კრასნაია ზვეზდას“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, საქართველოს, კრასნოდარის და სხვათა წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი სამი ადგილი განაწილდა შემდეგნაირად: კრასნოდარი, საქართველო, უკრაინა.

„კრასნაია ზვეზდას“ ჩემპიონები გახდნენ პ. კრიჭაშვილი (ქვემსუბუქი წონა) და შ ამზიარაძე (მძიმე წონა). მეორე ადგილები დაიკავეს ვ. ჯიბლაძემ (უმჩატესი წონა), თ. გრიგალაშვილმა (მჩატე წონა), ვ. ვარაზიშვილმა (მსუბუქი წონა), გ. ნებიერიძემ (ქვესაშუალო წონა), ვ. ცველესიანმა (საშუალო წონა). მესამე ადგილი ქვემძიმე წონაში დაისაკუთრა ნ. ბაშილეიშვილმა.

ლ. ჯაყელი

სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის 10 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა და პოლონეთის სპორტსმენები. საბჭოთა ველოსიპედისტების მარშრუტი იყო მოსკოვი-ვარშავა-მოსკოვი, ხოლო პოლონელებისა — ვარშავა-მოსკოვი-ვარშავა.

გასულ კვირას პოლონელი სპორტსმენები ჩამოვიდნენ მოსკოვში, რომელთაც გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.



სურათზე: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოტოციკლისტები მინსკის გზატკეცილზე.

ფოტო ვ. ხუხლაევისა და ვ. რახმანოვისა

მეორე პანამერიკული თამაშები

საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვა

დიდი ხანია ბურჟუაზიული სპორტის სამყაროში, განსაკუთრებით კი ოკეანისგაღმა ქვეყნებში, ასეთი ციებ-ცხელება არ ყოფილა. მეორე პანამერიკული თამაშები ამერიკის კონტინენტის სპორტსმენებისათვის გრანდიოზული ღონისძიება იყო 1952 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ. მართალია, მელბურნის ოლიმპიადის ვადები ჯერ კიდევ არ არის მოახლოებული, მაგრამ დასავლეთის მატერიკის სპორტსმენთა ბრძოლება ერთგვარ რეპეტიციას წარმოადგენს გადამწყვეტი შეხვედრების წინ.

13 მარტს მექსიკის დედაქალაქს, მეხიკოს, 22 ქვეყნის სპორტული დელეგაცია ეწვია. დღის 12 საათისათვის საუნივერსიტეტო სტადიონის ტრიბუნები 100 ათასამდე მაყურებელმა გაავსო. პარადი გახსნა პირველ პანამერიკულ თამაშებში გამარჯვებულმა არგენტინის გუნდმა, მას მოჰყვებოდნენ ბრაზილიის, ჩილის, კანადის, კოლუმბიის, კოსტარიკის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატების, პანამის, პარაგვაის, სალვადორის, იამაიკის და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები. ამუშავდნენ კორესპონდენტთა ფანქრები, ფოტორეპორტიორთა აპარატები. თავიანთი ადგილები დაიკავეს რადიოკომენტატორებმა, სატელევიზიო გადაცემათა მუშაკებმა. ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა ტირაჟი თამაშების პერიოდში ერთიორად გაიზარდა, გადაეცათ პირველი ცნობები.

ვეებერთელა ამფითეატრის შუაგულში დაიწყო მძლეოსანთა გამოსვლები და მასთან ძველი პანამერიკული რეკორდების შტურმი. პირველი იერიში ძველ შედეგებზე მიიტანეს სპრინტერებმა. სულ მალე ნათელი გახდა, რომ 10,6 წამს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ტრინიდადელმა მაიკ აგოსტინიმ და ამერიკელმა როდნეი რიჩარდმა წინასწარ გარბენში აჩვენეს 10,5. მაგრამ საუკეთესო არც ეს შედეგი გამოდგა. ნახევარფინალში სამმა სპორტსმენმა დისტანცია 10,3-ში დაფარა. ესენი იყვნენ აგოსტინი, რიჩარდი და ვილი უილიამსი. ფინალში იგივე შედეგით გაიმარჯვა რიჩარდმა.

არანაკლებად საინტერესო იყო ქალთა სპრინტი. პირველი ადგილი დაისაკუთრა ამერიკელმა ჯონსმა — 11,5. მან გაიმეორა სტევენსის ოლიმპიური რეკორდი. ამერიკელებმა ერნსტ შელტონმა და ჰერმან უაიტმა ადვილად დასძლიეს 201 სანტიმეტრი სიმაღლე. შემდგომში ვერც ერთმა მათგანმა ვერ აჩვენა 207 სანტიმეტრი, თუმცა ვარჯიშზე ორივე ადვილად ხტებოდა 210 სანტიმეტრის სიმაღლეზე.

მოუთმენლად ელოდა მაყურებელი შეჯიბრებას ჭოკით ხტომაში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი ბობ რიჩარდსი. შეჯიბრების დაწყებამდე გაზეთები დაჟინებით გაჰკიოდნენ, რომ რიჩარდს განზრახული აქვს მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, რადგან ვარჯიშებზე მან რამდენიმეჯერ დაძლია 470 სანტიმეტრი და მეტი. პირველ ცდაზე რიჩარდსმა ადვილად აიღო 450 სანტიმეტრი, მაგრამ ამ შედეგის გაუმჯობესება მან შემდგომში ვერ შეძლო.

5.000 მეტრზე რბენა მესამე დღის ცენტრალური მოვლენა იყო. 11 წრის შემდეგ რბენას თავში ჩაუდგა აშენფელტერი (აშშ). ფინიშის დრო ახლოვდებოდა; წინ კვლავინდებურად აშენფელტერი იყო. მას 6-7 მეტრით უკან მოჰყვებოდა არგენტინელი ოსვალდო სუარესი. ამერიკელი, დარწმუნებული გამარჯვებაში, მშვიდად მირბოდა უკანასკნელ წრეს. უცებ მას მოესმა მაყურებელთა შეძახილები. აშენფელტერი წამით დაიბნა, ვერ მიხვდა ხმაურის მიზეზს, ხოლო როდესაც გამოერკვა უკვე გვიან იყო. სუარესმა ფინიშამდე ორმოც მეტრზე გაუარა აშენფელტერს და ხაზი პირველმა გადაჭრა შედეგით 15:30,6.

მიუხედავად მთელი რიგი მაღალი შედეგებისა, პანამერიკული თამაშების ცენტრალური მოვლენა იყო ბრაზილიელი ფერეირა და სილვას არაჩვეულებრივი მიღწევა სამმაგ ხტომაში. უკანასკნელ ცდამდე საუკეთესო შედეგი ჰქონდა და სილვას და ვენესუელელ დევონიშს—16 მეტრი 13 სანტიმეტრი. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო ბრაზილიელის უკანასკნელი ნახტომი, რომელიც ამავე დროს საუკეთესო გამოდგა მძლეოსნობის მთელ ისტორიაში. პირველი ბიძგის შემდეგ და სილვამ 6 მ. 28 სანტიმეტრი დაძლია. მეორე ბიძგის შემდეგ—4 მ. 95 სმ, ხოლო მესამის შემდეგ —5 მ. 33 სმ. მქუხარე ტაშით შეხვდა მეხიკოს სტადიონი ახალ მსოფლიო რეკორდს — 16 მ. 56 სანტიმეტრს. საბჭოთა სპორტსმენის ლ. შჩერბაკოვის მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა 33 სანტიმეტრით.

400 მეტრზე რბენაში ორმა ამერიკელმა სპორტსმენმა აჩვენა მსოფლიო რეკორდზე მაღალი შედეგი. ლუის ჯონსმა ჩინებულად გაირბინა მთელი დისტანცია და ფინიშის გადაკვეთის შემდეგ ჩავარდა... მწვრთნელის მკლავებში. ჯონსის დროა 45,4. ჯეიმს ლი მას 0,1 წამით ჩამორჩა.

მარათონული რბენით დამთავრდა მძლეოსანთა გამოსვლები. ოქროს მედალი აქ გვატემალელმა დორიოთეო ფლორესმა მოიპოვა — 2.59:09,2.

თამაშების ყოველი კალენდარული დღე მოულოდნელობებით და საინტერესო ბრძოლებით იყო აღსავსე. დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მეხუთე დღეს, როდესაც მაყურებლებმა სტადიონის ტრიბუნებიდან კალათბურთის მოედნისაკენ გადაინაცვლეს. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი მსოფლიო ჩემპიონია. არგენტინელი კალათბურთელები მუდამ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ ამერიკელებს, ხოლო 1950 წელს დაამარცხეს კიდეც ისინი. ეს იყო ამერიკის ნაკრების ერთადერთი დამარცხება საერთაშორისო შეხვედრებში.

ამ გუნდებს შორის მატჩი არგენტინელთა შეუპოვარი იერიშებით დაიწყო. სამხრეთელები თამაშობდნენ ტემპიანად, აგრესიულად. ამერიკელები გამოირჩეოდნენ შორი მანძილიდან ზუსტი სროლებით. მატჩის პირველი ნახევარი მოიგო არგენტინის ნაკრებმა — 29:23.

წარმატებით წახალისებული არგენტინის კალათბურთელები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეებს მეორე ნახევარში. ამერიკელები დაიბნენ. მწვრთნელმა დროულად აიღო წუთშესვენება და შეცვალა სამი მოთამაშე. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში იყო 46:42 არგენტინელთა სასარგებლოდ, ხოლო სამი წუთით ადრე — 51: 50.

საერთო დაძაბულობამ საზღვარს მიაღწია უკანასკნელ წუთში. არგენტინის საუკეთესო კალათბურთელმა ფურლონგმა ჯარიმის გამო დატოვა მოედანი. ანგარიში გათანაბრდა — 53:53. ბურთს დაეუფლა რიკარდო გონსალესი (არგენტინა) და მთელი სისწრაფით გაიჭრა წინ, მაგრამ ფარის მისადგომებთან ჩაკეტილი აღმოჩნდა. კრიტიკულ მომენტში არგენტინელმა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. სპორტსმენები ოდნავ დაცხრნენ, მაგრამ წუთის შემდეგ კვლავ დაიწყო თამაში. მატჩის დამთავრებას ხუთი წამი აკლდა, როდესაც არგენტინის მწვრთნელმა თავისი გუნდის მოთამაშეს ვიაუსს მისცა ნიშანი და ისიც შეიჭრა ფარის ქვეშ. მსაჯებმა დანიშნეს ორი საჯარიმო სროლა და ვიაუსმა მოახერხა მეორე ბურთის ჩაგდება. ანგარიშია 54:53 არგენტინელების სასარგებლოდ.

იმისათვის რომ ტურნირში პირველ ადგილზე გამოსულიყვნენ, არგენტინელებს უნდა მოეგოთ შეხვედრა ბრაზილიასთან, რომლებსაც ამერიკისაგან უკვე მიღებული ჰქონდათ დამარცხება (49:78). შეხვედრის პირველ ნახევარს იგებს ბრაზილიის გუნდი — 32:27. მატჩის დასასრულისათვის არგენტინელები ათანაბრებენ ანგარიშს — 55:55 და დამატებით კიდევ ორ ბურთს ათავსებენ კალათში, მაგრამ ამერიკელმა მსაჯებმა, რომლებსაც მიჰყავდათ თამაში, არ ჩათვალეს ისინი და დანიშნეს ოთხი ჯარიმა. ფურლონგი და კასო მხოლოდ ერთ სროლას იყენებენ — 56:55. რამდენიმე წამის შემდეგ მსაჯები იღებენ ახალ არაობიექტურ გადაწყვეტილებას და არგენტინელთა მხარეს ნიშნავენ ორ ჯარიმას. ამ კრიტიკულ მომენტში არგენტინის უძლიერესი თავდამსხმელი ფურლონგი იძულებულია მოედნიდან გავიდეს. მატჩის ბედი გადაწყდა ბრაზილიელთა სასარგებლოდ 61:57.

სამ გუნდს — არგენტინას, ბრაზილიას და ამერიკას თითო თითო წაგება აქვთ და თუ პირველი ადგილის ბედი ბურთების შეფარდებით გადაწყდება, ამერიკის შეერთებულ შტატების კალათბურთელებს ოქროს მედლები უზრუნველყოფილი აქვთ.

მეორე პანამერიკული თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში გახდა არგენტინის გუნდი. გამარჯვებულებმა ტურნირი წაუგებლად ჩაატარეს. არგენტინამ უკანასკნელ მატჩში დაამარცხა ვენესუელის ფეხბურთელთა გუნდი — 5:1.

ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში ტრეკზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ვენესუელმა ანტონიო დი მიჩელიმ. მან კილომეტრიან დისტანციაზე ადგილიდან რბოლაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1:09,8. ხუთჭიდში პირველ ადგილზე გამოვიდა მექსიკელი ხოსე პერეს მიერი. გუნდურ ჩათვლაშიც უძლიერესები მექსიკელები იყვნენ.

ძალოსანთა გამოსვლების უკანასკნელ დღეს დამყარებულ იქნა სამი მსოფლიო რეკორდი. ამერიკელმა შემანსკიმ (მძიმე წონა) აიტაცა 151,5 კილოგრამი. მისმა თანამემამულემ ტომი კონომ (საშუალო წონა) აჭიმვაში აჩვენა 143,5 კგ. სამჭიდის ჯამში კი — 438,7 კგ. პანამერიკული თამაშების ჩემპიონები გახდნენ: უინჩი (აშშ) — 297,5 კგ. ხავეცი (პანამა) — 332,0 კგ; პიტმენი (აშშ) — 355,7 კგ. ჯორჯი (აშშ) -- 405 კგ; კონო (აშშ) — 438,7 კგ; შეპარდი — 407 კგ; შემანსკი (აშშ) — 472,5 კგ.

შეიძლება ითქვას, რომ მეხიკოში ყველაზე მოუთმენლად მოკრივეთა ტურნირს ელოდნენ. განსაკუთრებით ამერიკელთა გამოსვლებს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ფინალში გასული ხუთი ამერიკელიდან, მხოლოდ სამმა მოიპოვა ოქროს მედალი. პანამერიკული თამაშების ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: კორეა (მექსიკა), ენრიკეს (ვენეცია), კანეტა (არგენტინა), სილვა (არგენტინა), ფერნანდესი (არგენტინა), დორაზიო (აშშ), რაიტი (აშშ), პიტსი (აშშ), იგნასიო (ბრაზილია), ოხაო (არგენტინა).

მეორე პანამერიკული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობის ჯამში პირველ ადგილზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ ამერიკელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა, სწორედ იმ სახეებში (კრივი, კალათბურთი, ნიჩბოსნობა და სხვ.), სადაც ამერიკელები დაუმარცხებლად ითვლებოდნენ.

პიესა ქართველ ფალავნებზე

ამას წინათ ძველ გამოცემებს ვათვალიერებდი. შემთხვევით წავაწყდი ერთ პატარა წიგნაკს, რომელსაც სატიტულო ფურცელზე აწერია: „ხონაგური ანუ სალხინო მეჯლისი. მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი 1910 წელი. ეს არის პიესა ძველ ქართველ ფალავნებზე, კერძოდ, ხიზამბარელსა და მის ამხანაგებზე. ნაწარმოების დაწერისა და პირველი გამოცემის დათარიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ თუ ზოგიერთი ფაქტობრივი მონაცემებით ვიმსჯელებთ, იგი დაწერილი უნდა იყოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ნაწარმოების ავტორი ჩვენთვის უცნობია. ტექსტის მხატვრული ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი სიტყვაკაზმული მწერლობის ცნობილი ოსტატის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს. პიესის მოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩოები ბატონყმობის პერიოდშია მოქცეული. ნაწარმოებში პროზაულ ტექსტს მორიგეობით ენაცვლება ლექსი, რომელიც ხშირად გაურითმავია. პიესას დიდი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ იგი ჩვენთვის საინტერესოა, რამდენადაც შეიცავს ზოგიერთ ცნობებს ჩვენი ფალავნების შესახებ და მეტყველებს იმ უდიდეს პოპულარობაზე, რომლითაც ჭიდაობა სარგებლობდა ძველ საქართველოში.

პიესაში მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან თავადაზნაურობა, გლეხები, ხიზანბარელი და მისი ამხანაგები, უცხოელი ფალავნები და მათი ქომაგები.

სათარ-ბეგის ფალავანმა ალარამ ყველა მეტოქე წააქცია. ამით უცხოელ მოჭიდავეს თავს გაუვიდა, რუისის თავადი ნიკო ძალზე შეწუხდა: ნუთუ ჩვენ შორის არ გამოინახება ისეთი ვაჟკაცი, რომ ალარას ჯავრი ამოგვყაროსო, ვინც მას ბეჭებზე დასცემს, რასაც მთხოვს, ავუსრულებო. არჩევანი ხიზამბარელზე მიდგა. ბევრი ეჭვობდა ამ ორთაბრძოლაში ქართველი ფალავნის გამარჯვებას, რადგან მეტოქე ძლიერი იყო. ბატონმა ხიზამბარელი მასთან დაიბარა და გააცნო ჭიდაობის პირობები, ჭაბუკმა ბატონს სთხოვა, გამარჯვების შემთხვევაში, მისთვის ნება მიეცათ ცოლად შეერთო მოახლე მანა. ორთაბრძოლა ქართველი ფალავნის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ასეთია პიესის მოკლე შინაარსი.

ბ. თბილელი

ყოველი მხრიდან

ფეხბურთელთა ჩემპიონატები

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის მესამე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ 1954 წლის ჩემპიონი „სპარტაკი" (სოკოლოვო) და „სლოვანი" (ბრატისლავა). მატჩი მოიგეს ბრატისლაველებმა — 2:0.

გათამაშებაში ჯერჯერობით წაუგებლად მიდიან: პრაღის „დინამო", „სლოვანი" და „ტანკისტა".

• • •

ბუდაპეშტი. უნგრეთის ჩემპიონატში უკვე გათამაშდა 8 ტური. სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა „ვერეშ ლობოგო", რომელსაც არ აქვს არც ერთი წაგება. ლიდერმა ზედიზედ რვა თამაში მოიგო და აქვს ბურთების შეფარდება — 30:4. 14 ქულით მეორე ადგილზეა „კინიჟი", მესამეზე — „ჰონვედი".

ფიფას ტურნირი

დაიწყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მონაწილეობს 19 ქვეყნის კოლექტივი. თამაშები ტარდება იტალიის ქალაქებში.

პირველი კალენდარული შეხვედრების შედეგები ასეთია: უნგრეთი-ლუქსემბურგი — 5:0, იუგოსლავია-თურქეთი — 1:0, რუმინეთი-ფინეთი — 1:0, ავსტრია-ბელგია — 3.2, ბულგარეთი-ესპანეთი — 2:2, ირლანდია-პოლონეთი — 1:1, იტალია-პორტუგალია — 3:0, საარი-შვეიცარია — 3:1, ჩეხოსლოვაკია-ინგლისი — 1:0.

რედაქტორი ი. უბულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3.89.62, პ.მგ მდივნისა და განყოფილებების — 3.00.34, მორიგისა და გამომშვებისა — 3.38.25

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00196